ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N14/03/2023-5
სარეკლამო მომსახურების შესახებ

14 მარტი, 2023
ქ. თბილისი

1. ხელშეკრულების მხარეები

	დამკვეთი:	**შემსრულებელი:**
სახელწოდება:	ა(ა)იპ ეროვნული სკრინინგ-ცენტრი	შპს "ალმა"
საიდენტიფიკაციო კოდი (ს/კ):	202442730	204873388
იურიდიული მისამართი:	ქ. თბილისი, გლდანის რაიონი, გლდანის მასივი, IV მ/რ, N113ა	ქ. თბილისი, ვანის 6
ფაქტობრივი მისამართი:		ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. 64ბ, სართ. 16, საოფისე ფართი 16
დირექტორი/მინდობილი პირი:	ეთერ კიღურაძე	გიორგი ტრაპაიძე
საკონტაქტო ინფორმაცია:		
კომპანიის ტელეფონი:		(995 32) 2225225
კომპანიის ელ. ფოსტა:		info@alma.ge
საკონტაქტო პირი:		ნინო შენგელია
საკონტაქტო პირის ტელეფონი:		595 99 24 86
საკონტაქტო პირის ელ.ფოსტა:		n.shengelia@alma.ge
ელ. ფოსტა signify.ge-ს საშუალებით გაფორმების შემთხვევაში:		info@alma.ge

2. ხელშეკრულების საგანი (CPV79340000)
   - სარეკლამო მასალის ბეჭდვა;
   - სარეკლამო მასალის მონტაჟი;
   - სარეკლამო მასალის/ვიდეო რგოლის განთავსება.
   - მომსახურების პირობები იხ. დანართ 1-ში;
   - ანგარიშსწორების გრაფიკი იხ. დანართ 2-ში.
   - სარეკლამო მასალის/ვიდეო რგოლის დასახელება ----------.

3. შემსრულებელი ვალდებულია:

3.1. შემსრულებლის მიზეზით სარეკლამო კონსტრუქციის დაზიანების შემთხვევაში (გარდა ფორს-მაჟორული გარემოებებისა) დაზიანების გამოვლენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში უზრუნველყოს დაზიანებული სარეკლამო კონსტრუქციის აღდგენა და მისი პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა;

3.2. სარეკლამო კონსტრუქციაზე განთავსებული დამკვეთის სარეკლამო მასალის დაზიანების ან მოპარვის გამოვლენის შემთხვევაში ამ გარემოების შეტყობიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში აცნობოს დამკვეთს;

3.3. უზრუნველყოს ჩამოხსნილი სარეკლამო მასალის შენახვა და დამკვეთისთვის გადაცემა მომსახურების ვადის ამოწურვიდან 1 კვირის ვადით განმავლობაში. აღნიშნული ვადის გასვლის შემდგომ შემსრულებელი არ არის ვალდებული შეინახოს ჩამოხსნილი სარეკლამო მასალა.

4. შემსრულებელი უფლებამოსილია დამკვეთის მიერ სარეკლამო მომსახურების ღირებულების 10 (ათი) დღეზე მეტი ხნით გადაცილების შემთხვევაში, შეაჩეროს მომსახურება ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე, ამასთან დამკვეთს დაეკისრება როგორც მომსახურების შეჩერების გამო შემსრულებლის მიერ გაწეული ხარჯის ანაზღაურება (სარეკლამო მასალის დემონტაჟი-მონტაჟის ღირებულება და ა.შ.), ასევე ზიანის სახით დაეკისრება მოცდენილ პერიოდზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყოველთვიური სარეკლამო მომსახურების ღირებულების გადახდა. ამასთან, მომსახურების შეჩერების პერიოდი შედის ხელშეკრულების საერთო ვადაში და მომსახურების ვადა არ დაკორექტირდება. შემსრულებელი თავისუფლდება მომსახურების შეჩერების გამო გამოწვეული ყველა შესაძლო პასუხისმგებლობისგან. შეჩერებული მომსახურება განახლდება დამკვეთის მიერ დავალიანების სრულად დაფარვის შემდეგ.

5. შემსრულებელი უფლებამოსილია სარეკლამო კონსტრუქციის რეკონსტრუქციის (გაზრდა/შემცირება) შემთხვევაში შესთავაზოს დამკვეთს იმავე სარეკლამო კონსტრუქციაზე განთავსება საფასურის კორექტირების პირობით ან არსებული ბიუჯეტის ფარგლებში სხვა თანაბარზომიერი მომსახურების გაწევა ალტერნატიულ სარეკლამო კონსტრუქციაზე, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთისთვის არ იქნება მისაღები შეთავაზებული პირობები აღნიშნულ კონსტრუქციასთან მიმართებით, დააკორექტიროს ხელშეკრულება შესაბამის კონსტრუქციაზე სარეკლამო მომსახურების შეწყვეტის შესაბამისად.

6. დამკვეთი ვალდებულია:

6.1. გონივრულ ვადაში გადასცეს შემსრულებელს სარეკლამო მასალის დიზაინი ელექტრონული ფორმით ან/და სარეკლამო მასალა ან/და სარეკლამო რგოლი;

6.2. უზრუნველყოს მოპარული ან/და დაზიანებული სარეკლამო მასალის ნაცვლად:
- ახალი სარეკლამო მასალის დაბეჭდვა და მიწოდება ან;
- სარეკლამო მასალის დიზაინის მიწოდება ელექტრონული ფორმით და ბეჭდვის ღირებულების ანაზღაურება

6.3. 6.1.-6.2. პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში დამკვეთი არ თავისუფლდება სარეკლამო მომსახურების იმ პერიოდის ღირებულების გადახდისაგან, რა პერიოდითაც მასალა/რგოლი არ იყო განთავსებული სარეკლამო კონსტრუქციაზე;

6.4. უზრუნველყოს სარეკლამო მასალაზე/რგოლში განთავსებული ინფორმაციის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან. ამ ვალდებულების შეუსრულებლობიდან გამომდინარე ყველა სახის პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს;

6.5. ანგარიშ-ფაქტურის მიწოდებიდან 3 (სამი)დღის ვადაში დაადასტუროს ან წარმოადგინოს დასაბუთებული პრეტენზია შესრულებულ მომსახურებასთან დაკავშირებით, წინააღმდეგ შემთხვევაში მომსახურება ჩაითვლება უნაკლოდ.

6.6. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებებისა და მოვალეობების მთლიანად ან ნაწილობრივ მესამე პირისათვის გადაცემის შემთხვევაში მიიღოს წერილობითი თანხმობა შემსრულებლისაგან;

7. მხარეებს უფლება არ აქვს ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება მეორე მხარის თანხმობის გარეშე. დამკვეთს მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს უფლება შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ აუნაზღაურებს დარჩენილ სახელშეკრულებო თანხას ან შესთავაზებს შემსრულებელს თავის სანაცვლოდ ახალ გადახდიუნარიან და შემსრულებლისათვის მისაღებ დამკვეთს, ამასთან ახალი დამკვეთი თანახმა უნდა იყოს ხელშეკრულება მიიღოს იმავე პირობებით;

8. მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო მეორე მხარისათვის მიყენებული ზიანისთვის, გარდა იმ შემთხვევისა თუ ზიანი გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით. ფორს-მაჟორულ გარემობებში იგულისხმება ძლიერი ქარი (15მ/წმ-ზე მეტი), წყალდიდობა, მიწისძვრა,ომი და საომარი მოქმედებები,სამთავრობო ორგანოების მოქმედებები, დაკავშირებული საკანონმდებლობის აქტების მიღებასა და ცვლილებებთან, რომლებიც აუარესებენ წინამდებარე ხელშეკრულების სუბიექტების სამართლებრივ სტატუსს და რეჟიმს.

9. მხარეები დავის შემთხვევაში მიმართავენ საქართველოს საერთო სასამართლოს. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე შემსრულებელის სასარგებლოდ გამოტანილი პირველი ინსტანციის სასამართლოს გამოტანილი გადაწყვეტილება მიექცევა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1^1 ნაწილის საფუძველზე.

10. ხელშეკრულება ძალაშია მისი ნებისმიერი ფორმით დადასტურების შემთხვევაში და მხარეებს მის ფორმასთან დაკავშირებით არანაირი პრეტენზია არ გააჩნიათ.

11. ანგარიშსწორება განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ ავანსის სახით. მიწოდებლის საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით.

12. ანგარიშსწორება მოხდება 2023 წლის საკუთარი შემოსავლებით.

13. ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2023 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით.

მხარეთა ხელმოწერები

დამკვეთი	შემსრულებელი
_____	_____

დანართი N 1
2023 წლის 14 მარტის სარეკლამო მომსახურების ხელშეკრულებაზე
14 მარტი, 2023 წ.

#	კოდი	კონსტრუქციის ტიპი	სარეკლამო კონსტრუქციის მდებარეობა	ზომა	კვადრატულობა	განთავსების პერიოდი (ორივე თარიღის ჩათვლით)	განთავსების თვიური ღირებულება დღგ-ს ჩათვლით	დანართის სრული ღირებულება დღგ-ს ჩათვლით	ვალუტა
1	-	მონიტორი	ვაკის პარკი	506x198	-	15/03/2023 - 14/04/2023	2650,00	2650,00	ლარი
							2650,00	2650,00	ლარი

ა(ა)იპ ეროვნული სკრინინგ-ცენტრი

ეთერ კიღურაძე
დირექტორი
ს/კ: 202442730

შპს "ალმა"

გიორგი ტრაპაიძე
დირექტორი

დანართი #2

ანგარიშსწორების გრაფიკი

#	მომსახურების ტიპი	დაწყება	დასრულება	თანხა დღგ-ს ჩათვლით	ვალუტა	გადახდის თარიღი (არაუგვიანეს მითითებული თარიღისა)
1	განთავსება	15.03.2023	31.03.2023	1413,33	ლარი	15.03.2023
2	განთავსება	01.04.2023	14.04.2023	1236,67	ლარი	
				2650,00		

1. მომსახურების ღირებულების უცხოურ ვალუტაში განსაზღვრის შემთხვევაში ანგარიშ-ფაქტურის გამოწერამდე მომსახურების ღირებულება ეროვნულ ვალუტა ლარში განისაზღვრება და ანგარიშსწორება განხორციელდება გადახდის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად, ხოლო ანგარიშ-ფაქტურის გამოწერის შემდეგ - ანგარიშ-ფაქტურის გამოწერის დღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის შესაბამისად;

2. არასრული საანგარიშო (საოპერაციო) თვის მომსახურების ღირებულება იანგარიშება თვეში 30 დღის დაშვებით.

3. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით;

4. უნაღდო ანგარიშსწორების შემთხვევაში თანხის ჩარიცხვა განხორციელდება შემდეგ საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის გზით: სს საქართველოს ბანკი, ბანკის კოდი BAGAGE22, ანგარიშის # GE20BG0000000361572800;

5. ანგარიშსწორების ვადის 1 (ერთი) საბანკო დღეზე მეტი ხნით გადაცილების შემთხვევაში, შემსრულებელს უფლება აქვს (და არ არის ვალდებული) წარუდგინოს დამკვეთს წერილობითი მოთხოვნა საჯარიმო სანქციის (პირგასამტეხლო) გადახდის შესახებ გადაუხდელი მომსახურების ღირებულების 0,5 %-ის ოდენობით (ნული მთელი, ხუთი მეათედი პროცენტი) ყოველი ვადაგადაცილებული კალენდარული დღისათვის, დაწყებული ვადაგადაცილების მეორე კალენდარული დღიდან.

6. მომსახურების ღირებულების გადახდის ვალდებულება წარმოიშობა ხელშეკრულების/დანართის საფუძველზე.

7. იმ შემთხვევაში, თუ დამკვეთის მიერ ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში არ განხორციელდა საფასურის გადახდა, შემსრულებელი უფლებამოსილია დამკვეთს დავალიანება მოსთხოვოს უცხოურ ვალუტაში გადახდის დღის კურსით ეროვნულ ვალუტა ლარში.

დამკვეთი

_____

შემსრულებელი

_____